ევროკავშირის სპეციალური პრიზი მშვიდობის ჟურნალისტიკაში 2014

წესები და პირობები

კონკურსში მონაწილეობის წესი:

1. კონკურსანტებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ერთ საპრიზო კატეგორიაში;

2. კონკურსანტების წარდგენა შეუძლიათ როგორც რედაქტორებს, ასევე არასამთავრობო/სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს;

3. კონკურსში მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოს განაცხადის ფორმის სრულად შევსების საფუძველზე. განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია კონკურსის ვებ გვერდზე: **www.euprizejournalism.ge** ან წარმომადგენლობის ვებ გვერდზე:**http://eeas.europa.eu/delegations/georgia**

4. მიიღება მხოლოდ ის საკონკურსო ნამუშევრები, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით;

6. კონკურსში დაიშვება ქართული, რუსულ ან ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული/ტრანსლირებული ნამუშევრები; საკონკურსო ნამუშებვრები ევროკავშირის სადმკვირვებლო მისიის სპეციალური პრიზისთვის სამშვიდობო ჟურნალისტიკაში შესაძლოა იყოს ოსურ და აფხაზურ ენებზე.

7. საკონკურსო ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 3 ნოემბერი.

9. ევროკავშირი უფლებას იტოვებს გამოიყენოს საკონკურსო ნამუშევრები საპრეზენტაციო მასალებსა და სხვადასხვა მედიაში, ასევე, ხელახლა გამოაქვეყნოს ნამუშევრები კონკურსის „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში“ და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტების რეკლამირებისთვის;

10. კონკურსში დაიშვებიან მოქალაქეები 18 წლის ზევით

11. საკონკურსო ნამუშევრების წარდგენით, კონკურსის მონაწილეები ეთანხმებიან კონკურსის წესებსა და პირობებს;

12. ჟიურის წევრები, ევროკავშირისა და ,,ექშენ გლობალ კომუნიქეიშენის" თანამშრომლები კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

საკონკურსო ნამუშევრების წარდგენის პირობები:

1. საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ ის ნამუშევარი, რომელსაც თან ახლავს შევსებული განაცხადის ფორმა და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა. წერილობითი საკონკურსო ნაშრომებისთვის, რომლებიც ბეჭდვით მედიაში ან ინტერნეტში გამოქვეყნდა:

- A4 ფორმატი, დანომრილი გვერდებით;

- ნაშრომის შემოტანა შესაძლებელია ფოსტით ან პირადად. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ნაშრომის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამი ეგზემპლარი, დაბეჭდილი იმ ენაზე, რომელზეც ის თავდაპირველად გამოქვეყნდა;

- მითითებული უნდა იყოს იმ გაზეთის, ჟურნალის, გამოცემის ან ვებგვერდის

- სახელწოდება, სადაც ნამუშევარი პირველად გამოქვეყნდა;

- ნამუშევარს თან უნდა ახლდეს გამოქვეყნებული მასალის ორიგინალის ქსეროასლი ან ვებ-მისამართი, სადაც ნაშრომია განთავსებული.

ბ. საკონკურსო სატელევიზიო ჩანაწერისთვის:

- ნაშრომის შემოტანა შესაძლებელია ფოსტით ან პირადად. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამაუწყებლო ხარისხით ჩაწერილი ნამუშევრის სამი CD ან DVD ასლი.

- ნამუშევარი მიიღება იმ ენაზე, რომელზეც ის პირველად გამოქვეყნდა. ნამუშევარს უნდა ახლდეს სცენარი იმ ენაზე, რომელზეც ის პირველად გამოქვეყნდა.

- ნამუშევრის პირველად ტრანსლირების თარიღი და მაუწყებლის სახელწოდება

გ. საკონკურსო ნამუშევრებს ონლაინ მედიაში (ბლოგი, სოციალური მედია, საინფორმაციო სააგენტო, ონლაინ გაზეთი) უნდა ახლდეს:

- ონალინ რესურსის 4-5 სქრინშოტი;
- წარდგენილი ნაშრომის ზუსტი სახელწოდება, ლინკი და მოკლე აღწერილობა;
- სააპლიკაციო ფორმას ხელს უნდა აწერდეს იურიდიული სტატუსის მქონე პირი (დირექტორი, დამფუძნებელი, მფლობელი)

ყველა ნამუშევარი უნდა გამოიგზავნოს ფოსტით ან მოტანილი იქნეს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობაში შემდეგ მისამართზე :

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ნინო ჩხეიძის ქუჩა 38

0102 თბილისი, საქართველო